

შპს „ციფრული ტექნოლოგიები“

ფინანსური ანგარიშგება

*2021 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა	2
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	6
ფულადი ნაკადების ანგარიშგება	7
1. შპს ციფრული ტექნოლოგიები და მისი საქმიანობა	8
2. ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება	8
3. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	8
4. ძირითადი საშუალებები	14
5. მარაგები	15
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15
7. ფული და ფულის ეკვივალენტები	16
8. საწესდებო კაპიტალი	16
9. სესხები	17
10. სავაჭრო და სხვა დავალიანებები	18
11. ამონაგები	18
12. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	18
13. საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	19
14. ფინანსური ხარჯები	19
15. მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	19
16. ფინანსური ინსტრუმენტები	19
17. ფინანსური რისკის მართვა	20
18. კაპიტალის რისკის მართვა	23
19. გაუთვალისწინებელი გარემოებები	23
20. გადასახადები	24
21. ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	24
22. საქმიანობის უწყვეტობა	25
23. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები	25

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ციფრული ტექნოლოგიების“ მფლობელს და ხელმძღვანელობას:

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნა

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ციფრული ტექნოლოგიების“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხების ეფექტის გარდა, წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ინდივიდუალურ ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად.

არამოდიფიცირებული მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISAs) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ორგანიზაციისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოდიფიცირებული მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშგების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და იმ შიდა კონტროლის შესაბამისად, რასაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ ფინანსური ანგარიშგების მატერიალური ცდომილების გარეშე მოსაზრადებლად, იქნება ეს განზრახ თუ უნებლიეთ გამოწვეული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელნი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმის შესახებ, რომ ფინანსური ანგარიშგები სრულიად თავისუფალია უნებლიეთ თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ „ასს“-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალ-ცალკე, გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე. როგორც აუდიტის ნაწილი ISA-სთან შესაბამისად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში. ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების განზრახ ან უნებლიეთ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიმუშავებთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძვლისა და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.
- სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.

ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

ჩვენ მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირსა და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, არის ზვიად ახვლედიანი.

ზვიად ახვლედიანი

შპს „რასელ ბედფორდ ეივისის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2022 წლის 3 ოქტომბერი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ციფრული ტექნოლოგიების“ მფლობელს და ხელმძღვანელობას:

ფინანსური ანგარიშგების აუდიტის დასკვნა

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „ციფრული ტექნოლოგიების“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისგან, ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნებისგან, მათ შორის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, პირობითი მოსაზრების საფუძველში მოცემული საკითხების ეფექტის გარდა, წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მისი საქმიანობის ინდივიდუალურ ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად.

არამოდიფიცირებული მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ISAs) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ორგანიზაციისაგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ შესაბამისად. გარდა ამისა ჩვენ შევასრულეთ აღნიშნული კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. ჩვენ ვთვლით, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოდიფიცირებული მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

მენეჯმენტის და ფინანსური ანგარიშგების მართვაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობები

მენეჯმენტი პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარმოდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების და იმ შიდა კონტროლის შესაბამისად, რასაც მენეჯმენტი ჩათვლის საჭიროდ ფინანსური ანგარიშგების მატერიალური ცდომილების გარეშე მოსამზადებლად, იქნება ეს განზრახ თუ უნებლიეთ გამოწვეული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასა და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მართვაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებელი არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მივიღოთ გონივრული მტკიცებულება იმის შესახებ, რომ ფინანსური ანგარიშგები სრულიად თავისუფალია უნებლიეთ თუ განზრახ დაშვებული არსებითი უზუსტობებისგან, და გავცეთ აუდიტის დასკვნა, სადაც მოცემულია ჩვენი მოსაზრება. გონივრული მტკიცებულება არის მტკიცებულების მაღალი დონე, მაგრამ არ არის გარანტია, რომ „ასს“-ს შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის აღმოაჩენს არსებით ცდომილებას, ასეთის არსებობის დროს. ცდომილება შესაძლოა წარმოიშვას თაღლითობის ან შეცდომის გამო და მიიჩნევა არსებითად, თუკი მოსალოდნელია, რომ ერთობლივად ან ცალ-ცალკე, გავლენას იქონიებს მომხმარებელთა მიერ აღნიშნულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დაყრდნობით მიღებულ ეკონომიკურ გადაწყვეტილებაზე. როგორც აუდიტის ნაწილი ISA-სთან შესაბამისად, ჩვენ ვიყენებთ პროფესიონალურ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიონალურ სკეპტიციზმს აუდიტის განმავლობაში. ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების განზრახ ან უნებლიეთ დაშვებული არსებითი ცდომილების რისკებს, აღნიშნული რისკების საპასუხოდ შევიძულებთ და ვასრულებთ აუდიტის პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი მოსაზრებისათვის საკმარისი საფუძვლისა და შესაბამის აუდიტის მტკიცებულებას. თაღლითობისგან წარმოშობილი არსებითი ცდომილების ვერ აღმოჩენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომის შედეგად წარმოშობილი არსებითი ცდომილებისა, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს საიდუმლო მორიგებას, გაყალბებას, არასწორ ინტერპრეტაციას ან შიდა კონტროლის მექანიზმების დარღვევას/უარყოფას;
- გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისობა და სააღრიცხვო შეფასებების და მენეჯმენტის მიერ მათთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნების გონივრულობის შეფასება.
- სააღრიცხვო მიზნებისათვის მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების შესაბამისობის შეფასება და მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულების საფუძველზე, აზრის გამოთქმა არსებობს თუ არა მნიშვნელოვანი უზუსტობა იმ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ეჭვის ქვეშ დააყენოს კომპანიის ფუნქციონირებადი საწარმოს სტატუსი.

ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგებების ზოგად წარმოდგენას, სტრუქტურას და შინაარსს, განმარტებითი შენიშვნების ჩათვლით. თუ რამდენად სამართლიანად ასახავს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები იმ ტრანზაქციებს და მოვლენებს, რომლის საფუძველზეც მოხდა მათი მომზადება.

ჩვენ მივაწოდეთ მენეჯმენტს განცხადება, რომ ვაკმაყოფილებთ შესაბამის ეთიკურ მოთხოვნებს დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით და მივაწოდეთ ინფორმაცია ყველა კავშირსა და საკითხზე, რაც შესაძლოა ჩაითვალოს ჩვენი დამოუკიდებლობის საკითხისთვის მნიშვნელოვნად.

აუდიტის შემოწმების ხელმძღვანელი, რომელმაც შეადგინა წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, არის ზვიად ახვლედიანი.

ზვიად ახვლედიანი

შპს „რასელ ბედფორდ ეივისის“ სახელით

თბილისი, საქართველო

2022 წლის 3 ოქტომბერი



შპს „ციფრული ტექნოლოგიები“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	3,454,574	2,386,868	1,559,001
არამატერიალური აქტივები		12,262	10,841	10,841
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,466,836	2,397,709	1,569,842
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	5	1,280,925	817,040	803,470
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	445,519	1,991,996	511,986
საგადასახადო მოთხოვნები, ნეტო		1,548,201	854,501	61,376
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	639,248	94,855	62,996
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,913,893	3,758,392	1,439,828
სულ აქტივები		7,380,729	6,156,101	3,009,670
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	8	3,433	3,433	3,433
გაუნაწილებელი მოგება		4,524,991	2,791,238	2,749,490
სულ საკუთარი კაპიტალი		4,528,424	2,794,671	2,752,923
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	9	104,172	455,726	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		104,172	455,726	-
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	1,593,107	1,010,018	256,747
მოკლევადიანი სესხები	9	1,155,026	1,895,686	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,748,133	2,905,704	256,747
სულ ვალდებულებები		2,852,305	3,361,430	256,747
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		7,380,729	6,156,101	3,009,670

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2022 წლის 3 ოქტომბერს

თეიმურაზ დოლიძე
დირექტორი

ნატალია კობერიძე
ფინანსური დირექტორი

შენიშვნები გვერდებზე 8-25 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 2

შპს „ციფრული ტექნოლოგიები“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	3,454,574	2,386,868	1,559,001
არამატერიალური აქტივები		12,262	10,841	10,841
სულ გრძელვადიანი აქტივები		3,466,836	2,397,709	1,569,842
მოკლევადიანი აქტივები				
მარაგები	5	1,280,925	817,040	803,470
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	445,519	1,991,996	511,986
საგადასახადო მოთხოვნები, ნეტო		1,548,201	854,501	61,376
ფული და ფულის ეკვივალენტები	7	639,248	94,855	62,996
სულ მოკლევადიანი აქტივები		3,913,893	3,758,392	1,439,828
სულ აქტივები		7,380,729	6,156,101	3,009,670
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი	8	3,433	3,433	3,433
გაუნაწილებელი მოგება		4,524,991	2,791,238	2,749,490
სულ საკუთარი კაპიტალი		4,528,424	2,794,671	2,752,923
ვალდებულებები				
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	9	104,172	455,726	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		104,172	455,726	-
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10	1,593,107	1,010,018	256,747
მოკლევადიანი სესხები	9	1,155,026	1,895,686	-
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		2,748,133	2,905,704	256,747
სულ ვალდებულებები		2,852,305	3,361,430	256,747
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		7,380,729	6,156,101	3,009,670

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2022 წლის 3 ოქტომბერს

თეიმურაზ დოლიძე

მმართველი დირექტორი



ნ. კობედიძე

ნატალია კობერიძე

ფინანსური მენეჯერი

შენიშვნები გვერდებზე 9-26 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 2

შპს „ციფრული ტექნოლოგიები“
 მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 (თანხები მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2021 წელი	2020 წელი
ამონაგები	11	6,958,884	6,733,413
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12	(3,222,202)	(5,243,844)
საერთო მოგება		3,736,682	1,489,569
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(1,388,616)	(1,167,644)
საოპერაციო მოგება		2,348,066	321,925
ფინანსური შემოსავალი		1,254	713
ფინანსური ხარჯი	14	(120,691)	(87,127)
სხვა შემოსავალი (ხარჯი), წმინდა		27,068	160,061
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	15	(32,066)	(56,097)
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		2,223,631	339,475
მოგების გადასახადის ხარჯი		(75,832)	(57,222)
წმინდა მოგება		2,147,799	282,253
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული მოგება		2,147,799	282,253

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2022 წლის 3 ოქტომბერი

თეიმურაზ დოლიძე
 დირექტორი

ნატალია კობერიძე
 ფინანსური დირექტორი

შენიშვნები გვერდებზე 8-25 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 2


შპს „ციფრული ტექნოლოგიები“
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
(თანხები მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2021 წელი	2020 წელი
ამონაგები	11	6,958,884	6,733,413
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	12	(3,222,202)	(5,243,844)
საერთო მოგება		3,736,682	1,489,569
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	13	(1,388,616)	(1,167,644)
საოპერაციო მოგება		2,348,066	321,925
ფინანსური შემოსავალი		1,254	713
ფინანსური ხარჯი	14	(120,691)	(87,127)
სხვა შემოსავალი (ხარჯი), წმინდა		27,068	160,061
მოგება/(ზარალი) საკუთრო სხვაობიდან	15	(32,066)	(56,097)
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		2,223,631	339,475
მოგების გადასახადის ხარჯი		(75,832)	(57,222)
წმინდა მოგება		2,147,799	282,253
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის სრული მოგება		2,147,799	282,253

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმოწერილია 2022 წლის 3 ოქტომბერი


თეიმურაზ დოლიძე
მმართველი დირექტორი





ნატალია კობერიძე
ფინანსური მენეჯერი

შენიშვნები გვერდებზე 9-26 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 2

შპს „ციფრული ტექნოლოგიები“
 საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება
 (თანხები მოცემულია ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,433	2,749,490	2,752,923
პერიოდის შედეგი	-	282,253	282,253
გამოცხადებული დივიდენდები	-	(240,505)	(240,505)
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,433	2,791,238	2,794,671
პერიოდის შედეგი	-	2,147,799	2,147,799
გამოცხადებული დივიდენდები	-	(414,045)	(414,045)
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	3,433	4,524,991	4,528,424

შენიშვნები გვერდებზე 8-25 წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებების განუყოფელ ნაწილს. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა მოცემულია გვერდებზე 2

შპს „ციფრული ტექნოლოგიები“
 ფულადი ნაკადების ანგარიშგება
 (თანხები მოცემულია ლარში)

	შენიშვნა	2021 წელი	2020 წელი
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		2,223,631	339,475
შესწორებები:			
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	4	109,123	105,122
საპროცენტო ხარჯი	14	120,691	87,127
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება	6	(8,202)	14,900
ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული ზარალი, ნეტო		-	13,829
მარაგების ჩამოწერა		-	17,777
მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	15	32,065	56,097
საოპერაციო ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		2,477,308	634,327
(ზრდა)/შემცირება მარაგებში		(463,885)	(31,347)
(ზრდა)/შემცირება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში		1,541,297	(1,500,632)
(ზრდა)/შემცირება საგადასახადო აქტივებში		(769,533)	(849,695)
ზრდა/(შემცირება) სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		565,496	824,326
საბრუნავი კაპიტალის ცვლილებები		873,375	(1,557,348)
გადახდილი პროცენტი		(127,972)	(74,932)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		3,222,711	(997,953)
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	4	(1,176,829)	(946,817)
არამატერიალური აქტივების შეძენა		(1,421)	-
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		(1,178,250)	(946,817)
ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან			
შემოსავლები ნასესხები სახსრებიდან	9	1,252,760	2,510,867
გადახდილი დივიდენდი		(414,045)	(240,505)
ნასესხები სახსრების გადახდა	9	(2,243,744)	(312,677)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან		(1,405,029)	1,957,685
სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(95,039)	18,944
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		94,855	62,996
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასასრულს		639,248	94,855

შპს „ციფრული ტექნოლოგიები“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(თანხები მოცემულია ლარში)

1. შპს ციფრული ტექნოლოგიები და მისი საქმიანობა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის მიხედვით, საქართველოს კანონის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტი შესახებ“ მოთხოვნების გათვალისწინებით, 2021 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის შპს „ციფრული ტექნოლოგიებისთვის“ (შემდგომში „კომპანია“).

შპს „ციფრული ტექნოლოგიები“ 2014 წლის 27 აგვისტოს დაარსდა და აქტიურ ბიზნეს საქმიანობას 2015 წლის ოქტომბრიდან შეუდგა. ამ წლების განმავლობაში კომპანიამ შეძლო დაემსახურებინა მომხმარებლის ნდობა და ასევე გამხდარიყო რეგიონში მსოფლიო დონის 35-ზე მეტი წამყვანი მწარმოებლის სანდო ავტორიზებული პარტნიორი.

კომპანია დარეგისტრირებულია საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საიდენტიფიკაციო ნომრით: 405060142.

შპს „ციფრული ტექნოლოგიები“ დაკომპლექტებულია მაღალკვალიფიციური და გამოცდილი სპეციალისტებით, რომელთა დიდ უმრავლესობას პროფესიონალური რადიო კავშირგაბმულობის, სამხედრო ტექნოლოგიების და უსადენო ქსელური გადაწყვეტების სფეროებში წარმატებული საქმიანობის მრავალწლიანი გამოცდილება გააჩნიათ.

შპს „ციფრული ტექნოლოგიების“ 100% წილის მფლობელი და მმართველი დირექტორის არის თეიმურაზ დოლიძე.

ძირითადი საქმიანობა. შპს „ციფრული ტექნოლოგიები“ მუშაობს სამი ძირითადი მიმართულებით: სამხედრო ტექნოლოგიები, სამოქალაქო უსაფრთხოების სისტემები, ქსელური უზრუნველყოფა/მონაცემთა მიმოცვლა. ეს მიმართულებები მოიცავს თანამედროვე ციფრული სამხედრო და პროფესიონალური რადიო კავშირგაბმულობის საშუალებებსა და სისტემებს, ვიდეო ინფორმაციის რეგისტრაციის, დამუშავებისა და გადაცემის საშუალებებს, ლოკალურ და რეგიონალურ ქსელურ უზრუნველყოფას, მონაცემთა მიმოცვლისა და ტელემეტრიის სამხედრო და სამრეწველო ტექნოლოგიებს.

ბიზნესის წარმოების ადგილი და რეგისტრირებული მისამართი. კომპანიის რეგისტრირებული მისამართი და ბიზნესის წარმოების ძირითადი ადგილი არის საქართველო, ქალაქი თბილისი, საბურთალოს რაიონი, გვირილების ქუჩა, N 15.

წარსადგენი ვალუტა. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

2. ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

კომპანიის ძირითადი საქმიანობის ადგილია საქართველო. საქართველოს გააჩნია განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი გარკვეული მახასიათებლები, რაც მოიცავს შედარებით მაღალ ინფლაციის მაჩვენებელსა და საპროცენტო განაკვეთებს. ხშირია ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსსა და ინტერპრეტაციებში.

3. მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მოზადების საფუძველი

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის და "ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ" საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, რაც მოითხოვს გარკვეული კრიტიკული სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მენეჯმენტისგან მოითხოვს მსჯელობებისა და დაშვებების გაკეთებას ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის პრინციპების გამოყენების პროცესში. კონკრეტული სფეროები, სადაც მნიშვნელოვანი შეფასებები და მსჯელობებია გამოყენებული, ან სადაც მენეჯმენტის მიერ გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაზე.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფუნქციონალური და საპრეზენტაციო ვალუტაა საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი („ლარი“). ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით. გაცვლითი კურსის ცვლილებით მიღებული მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიშობა ტრანზაქციებზე ანგარიშსწორებით და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ფუნქციონალურ ვალუტაზე კონვერტაციით სებ-ის წლის ბოლოს ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში როგორც ფინანსური მოგება ან ხარჯი. წლის ბოლოს კურსი არაფულად ერთეულებზე არ ვრცელდება. 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო აშშ დოლარი („USD“) 1 = 3.0976 ლარი და ევრო („EUR“) 1 = 3.5040 ლარი (31 დეკემბერი 2020: USD 1 = 3.2766 ლარი და EUR 1 = 4.0233 ლარი). ამჟამად ქართული ლარი საქართველოს გარეთ უმეტეს ქვეყანაში თავისუფლად არ კონვერტირდება.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, ისტორიული ღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის თანხით ან დაგროვილი გაუფასურების ანარცხებით. მცირე და საშუალო ზომის საწარმოებისთვის (მსს) ფასს-ებზე გადასვლის თარიღით ანუ 2017 წლის 1 იანვარს, ძირითადი საშუალებების თვითღირებულება განსაზღვრული იყო ამ თარიღით მის რეალურ ღირებულებასთან მიმართებაში („დასაშვები საწყისი ღირებულება“).

შემდგომი დანახარჯები აისახება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ინდივიდუალური აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსალოდნელია მოცემულ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება კომპანიის მიერ და შესაძლებელია დანახარჯების სარწმუნოდ შეფასება. უმნიშვნელო რემონტის და ყოველდღიური საექსპლუატაციო დანახარჯები გაწევისთანავე აისახება ხარჯებში. ძირითადი საშუალების მნიშვნელოვანი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის დანახარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილი ამოიღება მოხმარებიდან.

ცვეთა

მიწას და მიმდინარე მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებების ცვეთა დაირიცხება ისე, რომ აქტივების ღირებულება, შემცირებული მათი ნარჩენი ღირებულებით, სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში გადანაწილდეს, წრფივი მეთოდის გამოყენებით. შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები შემდეგია:

- კომპიუტერები და საინფორმაციო ტექნოლოგიების სხვა აღჭურვილობა - 5 წელი
- საოფისე აღჭურვილობა - 5 წელი
- მანქანა-დანადგარები - 10 წელი
- სატრანსპორტო საშუალებები - 10 წელი

აქტივების ნარჩენი ღირებულებები, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თუ ბოლო საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ არსებობს მითითება მნიშვნელოვან ცვლილებაზე.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრა განსჯის საკითხია და ეფუძნება მსგავს აქტივებთან დაკავშირებულ გამოცდილებას. ხელმძღვანელობამ დარჩენილი სასარგებლო მომსახურების ვადების შეფასებისას ითვალისწინებს აქტივების ამჟამინდელ ტექნიკურ მდგომარეობას, ფიზიკური ცვეთას და იმ ფიზიკურ გარემოს, რომელშიც აქტივი ოპერირებს. ამ ნებისმიერი პირობების ან დაშვებების ცვლილებებმა შეიძლება გამოიწვიოს სამომავლო ცვეთის განაკვეთის კორექტირებები.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში, მოთხოვნამდე დეპოზიტებს ბანკებში და სხვა მოკლევადიან, მაღალი ლიკვიდობის მქონე ინვესტიციებს, რომელთა თავდაპირველი დაფარვის ვადა სამ თვემდეა. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები გატარებულია ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

მარაგები

მარაგები არის აქტივები რომლებიც განკუთვნილია მომხმარებელზე გასაყიდად, წარმოების პროცესში გამოსაყენებლად ან მომხმარებლისთვის მომსახურების გასაწევად. მარაგები ასევე მოიცავს სათადარიგო ნაწილებს, სარეზერვო ტექნიკასა და მომსახურების გასაწევ ტექნიკას თუ ისინი არ შეესაბამებიათ ძირითადი საშუალებების განმარტებას. მარაგები წარმოდგენილია საბალანსო ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულებად მიჩნეულია ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში აქტივის გასაყიდი ფასი, რასაც აკლდება აქტივის გაყიდვასთან დაკავშირებული სავარაუდო დანახარჯები. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მიტანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან როგორშიც ის იმყოფება.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ღირებულებით. შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხით. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი განისაზღვრება მაშინ, როდესაც არსებობს იმის ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანიას არ ექნება კუთვნილი თანხების ამოღების შესაძლებლობა მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება

მოთხოვნების ანგარიშების გაუფასურების ანარიცხი ეფუძნება მომხმარებლის სპეციფიკური ანგარიშების ამოღებადობის შეფასებას ხელმძღვანელობის მიერ. თუ მსხვილი მომხმარებლის კრედიტუნარიანობის გაუარესებას აქვს ადგილი ან ფაქტობრივი დეფოლტი აღემატება შეფასებულს, ფაქტობრივი მოთხოვნების ანგარიშები შეიძლება განსხვავდებოდეს ამ შეფასებებისგან. კომპანია საზღვრავს იმას, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ გაუფასურებას ჰქონდა ადგილი ინდივიდუალურად შეფასებული მოთხოვნების ანგარიშებისთვის, მნიშვნელოვანია თუ არა, ის მოიცავს მოთხოვნის ანგარიშს მოთხოვნების ანგარიშების იმ ჯგუფში, რომელთაც გააჩნიათ მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლები და ჯამურად აფასებს მათ გაუფასურებაზე.

გაუფასურების ჯამური შეფასების მიზნებისთვის, მოთხოვნების ანგარიშები ჯგუფდება მსგავსი საკრედიტო რისკის მახასიათებლების მიხედვით. ეს მახასიათებლები შესატყვისია სამომავლო ფულადი ნაკადების შეფასებისა მსგავსი აქტივების ჯგუფებისთვის იმით, რომ მაჩვენებელია მსესხებლის უნარისა, გადაიხადოს ყველა გადასახადი თანხა, რომელიც ეკისრება ამ შეფასებული აქტივების სახელშეკრულებო პირობებით. სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც ფასდება როგორც ინდივიდუალურად არ გაუფასურებული გაუფასურებაზე შეფასდება ჯამურად კომპანიის ისტორიული ამოღების გამოცდილების გათვალისწინებით მსგავსი ხანდაზმულობის მქონე აქტივებისთვის. სავაჭრო მოთხოვნების ანარიცხები კეთდება ამოღების დონეების ისტორიული გამოცდილების საფუძველზე გარკვეული ხანდაზმულობის კატეგორიის ანგარიშებიდან. გაუფასურების ანარიცხის ღირებულება სენსიტიურია გამოყენებული სპეციფიკური პროცენტებისადმი.

ფაქტობრივი შედეგები შეიძლება განსხვავდებოდეს შეფასებებისგან და კომპანიის შეფასებები შეიძლება მომავალში გადაიხედოს, ნეგატიურად ან პოზიტიურად, რაც დამოკიდებულია შედეგებზე ან მოლოდინზე, რომელიც ემყარება ყველა იმ ფაქტს, რომლის გარემოცვაშიც არის დაქვემდებარება

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილი ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება არ არის შესაძლებელი, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღირიცხება წლის მოგებაში ან ზარალში.

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები

ვალდებულებებისა და ხარჯების ანარიცხები არის გაურკვეველი ვადის და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხების შეფასება ხდება მოვალეობის ანგარიშსწორებისათვის საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისათვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო, ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით. გადასახადები და ხარჯები, როგორცაა, მაგალითად მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები ან მარეგულირებლის საფასური, დაფუძნებული იმ პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც წინ უსწრებს გადახდის მოვალეობის წარმოქმნას, ვალდებულებების სახით აღიარდება მაშინ, როდესაც მოხდება მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოქმნის, რაც განისაზღვრება კანონმდებლობით, რომელიც განაპირობებს მოცემული გადასახადის გადახდის ვალდებულებას. თუ გადასახადი მავალდებულებელი მოვლენის მოხდენამდე გადაიხდება, იგი აღიარდება წინასწარი გადახდის სახით.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით, გაწეული გარიგების დანახარჯების გარეშე, შემდეგ კი აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. ცვლილება კომპანიის წესდებაში (მოიცავს ცვლილებას საწესდებო კაპიტალში, მფლობელობაში და ა.შ) ხდება მხოლოდ კომპანიის დამფუძნებლების გადაწყვეტილების შემდგომ. ავტორიზირებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი კომპანიის კაპიტალში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ უშუალოდ დამფუძნებლების კონტრიბუცია იყო კომპანიაში. აკუმულირებული მოგება მოიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების მოგებას და ზარალს. დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება იმ პერიოდისთვის, რომელშიც გამოცხადდა.

დივიდენდები

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკიდან გამომდინარე დივიდენდები აღირიცხება როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

დამატებითი ღირებულების გადასახადი (დღგ)

წარმოებულ ღირებულებაზე დამატებითი გადასახადი დაკავშირებული გაყიდვებთან, საგადასახადო ორგანოებისათვის გადახდილ უნდა იქნეს შემდეგი მოვლენებისას, რომელიც უფრო ადრე მოხდება: (ა) მოთხოვნების ამოღება კლიენტებისაგან, ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება კლიენტებისათვის. საზოგადოდ, გადასახდელი დღგ ამოღებადია ჩასათვლედი დღგ-ის საპირისპიროდ, დღგ-ის ანგარიშ ფაქტურის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღგ-ის ჩათვლა წმინდა საფუძველზე.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული კანონმდებლობის ან საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილებები საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო დაწესებულებების, სადაზღვეო კომპანიების და ლომბარდების გარდა) 2017 წლის 1 იანვრიდან არ უწევთ მოგების გადასახადის გადახდა მანამ, სანამ არ მოხდება ან დივიდენდების გაცემის გზით აღნიშნული მოგების განაწილება ან განაწილებულად მიჩნევა.

ფიზიკური პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემის მომენტში ხდება 15% მოგების გადასახადის დარიცხვა აგროსილ ღირებულებაზე (მაგ. წმინდა დივიდენდები აიგროსება შემადგენელი 5%-იანი გადასახადით, საჭიროებისამებრ, და გაიყოფა 0.85-ზე). მიღებული მოგებიდან რეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდის გაცემა 2017 წლის 1 იანვრიდან თავისუფლდება მოგების გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე პერიოდში აკუმულირებულ მოგებაზე დივიდენდები ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას მთლიან თანხაზე, შემცირებული შესაბამისი საგადასახადო კრედიტის თანხით, რომელიც გამოითვლება, როგორც დასაბეგრ მოგებაზე, იგივე პერიოდში მთლიანი წმინდა მოგების საპირისპიროდ, გამოცხადებული და გადახდილი კორპორატიული მოგების გადასახადის წილი, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე.

თუმცა, საგადასახადო კრედიტის თანხა არ უნდა აღემატებოდეს განაწილებულ დივიდენდებზე ფაქტიურ მოგების გადასახადს. დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება როგორც იმ პერიოდის მოგების გადასახადის ხარჯი, რომელშიც მოხდა დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად დივიდენდების გადახდის რეალური თარიღისა. საგადასახადო ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნება დივიდენდების გადახდისას, არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

დივიდენდების განაწილების გარდა, გადასახადით კვლავ იბეგრება შემდეგი ოპერაციები და ხარჯები: ოპერაციები, რომლებიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან; აქტივების ან მომსახურების უსასყიდლო მიწოდება და წარმომადგენლობითი ხარჯები, რომლებიც აღემატება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მაქსიმალურ ოდენობას. შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებულ კომპანიებზე გადახდილი ავანსები და ამ კომპანიებთან განხორციელებული სხვა გარკვეული ტრანზაქციები ისევე, როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები ექვემდებარება დაუყოვნებლივ დაბეგვრას.

შპს „ციფრული ტექნოლოგიები“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(თანხები მოცემულია ლარში)

ასეთი გადასახადები სხვა გადასახადებთან ერთად, რომლებიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლებით აღირიცხება მუხლში 'გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა' საოპერაციო ხარჯების ნაწილში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

დაქირავებულ პირთა მოკლევადიანი გასამრჯელოები, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას, მოიცავს:

(ა) ხელფასებს, ანაზღაურებებსა და პრემიებს;

(ბ) წლიურ ფასიან შვებულებებს და ბიულეტენის ანაზღაურებებს;

თუ დაქირავებულმა პირმა რომელიმე სააღრიცხვო პერიოდში საწარმოს გაუწია მომსახურება, დაქირავებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოების არადისკონტირებული ოდენობა, რომელიც გადასახდელია ამ მომსახურებისთვის, საწარმომ უნდა აღიაროს:

(ა) როგორც ვალდებულება (დარიცხული ხარჯი) ნებისმიერი, უკვე გადახდილი თანხის გამოკლების შემდეგ. თუ უკვე გადახდილი თანხა აღემატება გასამრჯელოს არადისკონტირებულ ღირებულებას, ნამეტი თანხა უნდა აღიარდეს აქტივად (წინასწარ გაწეულ ხარჯად) იმ ოდენობით, რა ოდენობითაც წინასწარგადახდა უზრუნველყოფს მომავალში გადასახდელების შემცირებას ან ფულადი სახსრების უკან დაბრუნებას.

(ბ) როგორც ხარჯი, თუკი მისი ოდენობა არ არის ჩართული აქტივის თვითღირებულებაში.

პრემიები

გადასახდელი პრემიების მოსალოდნელი ხარჯი აღიარდება მხოლოდ და მხოლოდ მაშინ, თუ წარსული მოვლენის შედეგად კომპანიას აქვს ზემოაღნიშნული გასამრჯელოების გადახდის მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება და შესაძლებელია ვალდებულების საიმედოდ შეფასება. მიმდინარე ვალდებულება მხოლოდ მაშინ არსებობს, როდესაც საწარმოს არა აქვს სხვა რეალური ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ გადაიხადოს ეს გასამრჯელოები.

შემოსავალი

კომპანიის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება მიწოდებული მომსახურებიდან და გაყიდული საქონლიდან. იმისათვის, რომ შემოსავალი იქნეს აღიარებული უნდა შეასრულდეს ხუთსაფეხურიანი პროცესი:

1. მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიკაცია
2. შესასრულებელი ვალდებულებების იდენტიფიკაცია
3. გარიგების ფასის განსაზღვრა
4. გარიგების ფასის განაწილება შესასრულებელ ვალდებულებაზე
5. შემოსავლის აღიარება, როდესაც ნაკისრი ვალდებულება შესრულდება

შპს „ციფრული ტექნოლოგიები“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(თანხები მოცემულია ლარში)

4. ძირითადი საშუალებები

	მიწა	მანქანა- დანადგარები	კომპიუტერები და საინფორმაციო ტექნოლოგიების სხვა აღჭურვილობა	საოფისე აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	დაუმთავრებელი მშენებლობა	სულ
თვითღირებულება							
2019 წლის 31 დეკემბერს	395,472	663,339	37,837	8,254	207,891	426,731	1,664,724
შესყიდვები	-	-	1,331	13,771	38,504	893,211	946,817
გასვლები	-	-	-	(432)	(14,500)	-	(14,932)
2020 წლის 31 დეკემბერს	395,472	663,339	39,168	21,593	231,895	1,319,942	2,596,609
შესყიდვები	-	-	14,211.00	84,902.00	-	1,077,716.00	1,176,829.00
გასვლები	-	-	-	-	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერს	395,472	663,339	53,379	106,495	231,895	2,397,658	3,848,238
ცვეთა							
2019 წლის 31 დეკემბერს	-	(113,404)	(15,914)	(3,794)	(47,411)	-	(180,523)
ცვეთის ხარჯი	-	(66,516)	(11,823)	(3,333)	(23,450)	-	(105,122)
გასვლები	-	-	-	-	1,104	-	1,104
2020 წლის 31 დეკემბერს	-	(179,920)	(30,062)	(7,127)	(69,757)	-	(284,541)
ცვეთის ხარჯი	-	(85,543.00)	7,287.00	(7,696.00)	(23,171.00)	-	(109,123.00)
გასვლები	-	-	-	-	-	-	-
2021 წლის 31 დეკემბერს	-	(265,463.00)	(20,450.00)	(14,823.00)	(92,928.00)	-	(393,664.00)
საბალანსო ღირებულება							
2019 წლის 31 დეკემბერს	395,472	549,935	21,923	4,460	160,480	426,731	1,559,001
2020 წლის 31 დეკემბერს	395,472	483,419	9,106	14,466	162,138	1,319,942	2,386,868
2021 წლის 31 დეკემბერს	395,472.00	397,876.00	32,929.00	91,672.00	138,967.00	2,397,658.00	3,454,574.00

შპს „ციფრული ტექნოლოგიები“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(თანხები მოცემულია ლარში)

5. მარაგები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
საქონელი	995,253	731,719	803,470
ნედლეული და მასალები	285,672	85,321	-
	1,280,925	817,040	803,470

2021 წლის განმავლობაში რეალიზებული მარაგების თვითღირებულებამ შეადგინა 3,222,202 ლარი
(2020 წელს: 5,243,844 ლარი).

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	148,926	1,332,645	185,159
შემცირებული საკრედიტო ზარალის ანარიცხით	(19,177)	(27,378)	(12,479)
	129,749	1,305,267	172,680
გადახდილი ავანსი	315,709	686,729	281,220
სხვა მოთხოვნები	61	-	58,086
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	445,519	1,991,996	511,986

კომპანია აწარმოებს მოთხოვნების ხანდაზმულობის გამოთვლას, საკრედიტო ზარალის რეზერვი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისათვის განისაზღვრება ქვემოთ წარდგენილი რეზერვის მატრიცის მიხედვით. რეზერვის მატრიცა ემყარება აქტივის ვადაგადაცილების დღეების რაოდენობას, პროგნოზირებადი ინფორმაციის აღსაწერად კორექტირებულს.

2021 წლის სავაჭრო მოთხოვნების ანალიზი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით:

	გაუფასურების განაკვეთი	ბრუტო საბალანსო ღირებულება	მოსალოდნე ლი საკრედიტო ზარალი	ნეტო საბალანსო ღირებულება
მიმდინარე	0%	54,081	-	54,081
30 დღეზე ვადაგადაცილებული	0%	27,683	-	27,683
31-60 დღით ვადაგადაცილებული	5%	15,305	765	14,540
61-90 დღით ვადაგადაცილებული	10%	5,345	535	4,810
91-180 დღით ვადაგადაცილებული	25%	37,206	9,302	27,904
181-365 დღით ვადაგადაცილებული	50%	1,463	732	731
365-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული	100%	7,843	7,843	-
სულ		148,926.00	19,177.00	129,749

შპს „ციფრული ტექნოლოგიები“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(თანხები მოცემულია ლარში)

2020 წლის სავაჭრო მოთხოვნების ანალიზი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით:

	გაუფასურების განაკვეთი	ბრუტო საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	ნეტო საბალანსო ღირებულება
მიმდინარე	0%	1,211,380	-	1,211,380
30 დღეზე ვადაგადაცილებული	0%	48,837	-	48,837
31-60 დღით ვადაგადაცილებული	5%	16,316	816	15,500
61-90 დღით ვადაგადაცილებული	10%	22,933	2,293	20,640
91-180 დღით ვადაგადაცილებული	25%	7,282	1,821	5,461
181-365 დღით ვადაგადაცილებული	50%	6,897	3,448	3,449
365-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული	100%	19,000	19,000	-
სულ		1,332,645.00	27,378.00	1,305,267

2019 წლის სავაჭრო მოთხოვნების ანალიზი ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით:

	გაუფასურების განაკვეთი	ბრუტო საბალანსო ღირებულება	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	ნეტო საბალანსო ღირებულება
მიმდინარე	0%	127,085	-	127,085
30 დღეზე ვადაგადაცილებული	0%	-	-	-
31-60 დღით ვადაგადაცილებული	5%	16,101	805	15,296
61-90 დღით ვადაგადაცილებული	10%	17,233	1,723	15,510
91-180 დღით ვადაგადაცილებული	25%	14,017	3,504	10,513
181-365 დღით ვადაგადაცილებული	50%	8,553	4,277	4,276
365-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული	100%	2,170	2,170	-
სულ		185,159	12,479	172,680

7. ფული და ფულის ეკვივალენტები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
მოთხოვნამდე საბანკო ნაშთები	637,748	94,855	60,399
ფული ხელზე	1,500	-	2,597
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	639,248	94,855	62,996

ნაღდი ფულის ნაშთი საბანკო ანგარიშებზე შესაძლოა კლასიფიცირებული იყოს, როგორც ურისკო, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ბანკები, სადაც კომპანიას მიმდინარე ანგარიშები აქვს, არიან სანდო და საყოველთაოდ ცნობილი საკრედიტო დაწესებულებები.

8. საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი, 2021 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 3,433 ლარს (2020 წლის 31 დეკემბერი: 3,433 ლარი).

9. სესხები

	მიმდინარე		გრძელვადიანი			მიმდინარე		გრძელვადიანი
	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
საბანკო სესხები	1,155,026	1,895,686	104,172	455,726	1,895,686	-	455,726	
სულ საბანკო სესხები	1,155,026	1,895,686	104,172	455,726	1,895,686	-	455,726	-

2021 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღებული სესხების პირობები იყო:

	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	ვადა	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
პროგრესიტი ბანკი	ლარი	11.50%	10.03.2022	500,000	500,000	-
პროგრესიტი ბანკი	ევრო	5.50%	27.04.2023	448,438	1,077,090	-
პროგრესიტი ბანკი	ევრო	5.50%	30.12.2022	310,760	774,322	-
სულ სესხები				1,259,198	2,351,412	-

ფინანსური საქმიანობიდან წარმოქმნილი ვალდებულებების რეკონსილაცია

კომპანიის ვალდებულებები წარმოქმნილი საფინანსო საქმიანობიდან შეიძლება კლასიფიცირდეს შემდეგნაირად:

	გრძელვადიანი სესხები	მოკლევადიანი სესხები	სულ
2019 წლის 31 დეკემბერი	-	-	-
<u>ფულადი ნაკადების მოძრაობა</u>			
სესხის აღება	-	2,510,867	2,510,867
სესხის დაფარვა	-	(312,677)	(312,677)
გადახდილი პროცენტი	-	(74,932)	(74,932)
<u>არაფულადი ნაკადების მოძრაობა</u>	-	-	-

შპს „ციფრული ტექნოლოგიები“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(თანხები მოცემულია ლარში)

დარიცხული პროცენტი	-	87,127	87,127
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან	-	141,027	141,027
რეკლასიფიკაცია	455,726	(455,726)	-
2020 წლის 31 დეკემბერი	455,726	1,895,686	2,351,412

<u>ფულადი ნაკადების მოძრაობა</u>			
სესხის აღება	-	1,252,760.00	1,252,760.00
სესხის დაფარვა	-	(2,243,744.00)	(2,243,744.00)
გადახდილი პროცენტი	-	(127,972.00)	(127,972.00)
<u>არაფულადი ნაკადების მოძრაობა</u>			
დარიცხული პროცენტი	-	120,691.00	120,691.00
მოგება/ზარალი საკურსო სხვაობიდან	-	(93,949.00)	(93,949.00)
რეკლასიფიკაცია	(351,554.00)	351,554.00	-
2021 წლის 31 დეკემბერი	104,172.00	1,155,026.00	1,259,198.00

10. სავაჭრო და სხვა დავალიანებები

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	10,263	158,033	256,747
საგადასახადო ვალდებულებები	1,422,044	764,111	-
	1,432,307	922,144	256,747
მიღებული ავანსები	160,800	87,874	-
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,593,107	1,010,018	256,747

სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხებათ. კომპანიას აქვს ფინანსური რისკების მართვის პოლიტიკა, რათა უზრუნველყოს ყველა ვალდებულების საკრედიტო პერიოდის ვადაში გადახდა.

11. ამონაგები

	2021 წელი	2020 წელი
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	3,669,558	6,143,923
შემოსავალი მომსახურებიდან	3,289,326	589,490
სულ ამონაგები	6,958,884	6,733,413

12. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

	2021 წელი	2020 წელი
გაყიდული საქონელი	(3,148,140)	(5,218,902)
სხვა	(74,062)	(24,942)
სულ რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	(3,222,202)	(5,243,844)

შპს „ციფრული ტექნოლოგიები“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 (თანხები მოცემულია ლარში)

13. საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები

საოპერაციო და ადმინისტრაციული ხარჯების მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს ხელფასის ხარჯები. ძირითადი ხარჯები სტრუქტურული ერთეულების მიხედვით მოყვანილია ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილებში:

	2021 წელი	2020 წელი
შრომის ანაზღაურება	(1,137,102)	(867,609)
ცვეთა და ამორტიზაცია	(109,124)	(105,122)
რემონტის ხარჯი	(1,740)	(37,368)
დაზღვევა	(34,090)	(30,706)
ბანკის საკომისიო	(14,023)	(17,258)
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება	-	(14,900)
საკონსულტაციო ხარჯები	(10,506)	(7,805)
მივლინების ხარჯი	(150)	(4,280)
კომუნალური ხარჯი	(21,511)	(4,061)
კომუნიკაციის ხარჯები	(2,781)	(1,813)
კომპიუტერის ხარჯები	(932)	(1,200)
სარეკლამო ხარჯი	(1,787)	(1,850)
ტრანსპორტირების ხარჯი	(1,510)	(77)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები*	(32,531)	(73,595)
სხვა საგადასახადო ხარჯი	(20,830)	-
სულ საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯები	(1,388,616)	(1,167,644)

* სხვა საერთო და ადმინისტრაციული დანახარჯების დიდი ნაწილი შედგება წარმომადგენლობითი ხარჯებისა და სხვადასხვა მომსახურების ხარჯებისგან.

14. ფინანსური ხარჯები

	2021 წელი	2020 წელი
საპროცენტო ხარჯები სესხებზე ფინანსური ინსტიტუტებიდან	(120,691)	(87,127)
სულ ფინანსური ხარჯები	(120,691)	(87,127)

15. მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან

	2021 წელი	2020 წელი
ფინანსური აქტივები ამორტიზირებული ღირებულებით	(108,422)	13,222
ფინანსური ვალდებულებები ამორტიზირებული ღირებულებით	76,356	(69,319)
სულ მოგება/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	(32,066)	(56,097)

16. ფინანსური ინსტრუმენტები

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის დეტალები და განხორციელების მეთოდები, მათ შორის აღიარების კრიტერიუმები და ბაზისი, რომლის საფუძველზეც ხდება შემოსავლის თუ ხარჯის აღიარება, ფინანსური აქტივის და ვალდებულების კლასების შესაბამისად

შპს „ციფრული ტექნოლოგიები“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(თანხები მოცემულია ლარში)

ფინანსური ინსტრუმენტების კატეგორიები

ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები თითოეული კატეგორიისთვის წარმოდგენილია ცხრილში:

ფინანსური აქტივები ამორტიზებული ღირებულებით

ლარში	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	129,749	1,305,267	172,680
ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე	639,248	94,855	62,996
სულ ფინანსური აქტივები	768,997	1,400,122	235,676

ფინანსური ვალდებულებები ამორტიზებული ღირებულებით

ლარში	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სესხები	1,259,198	2,351,412	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	10,263	158,033	256,747
სულ ფინანსური ვალდებულებები	1,269,461	2,509,445	256,747

17. ფინანსური რისკის მართვა

კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებულ სხვადასხვა რისკებს ექვემდებარება. ძირითადი რისკების ტიპებია საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკი. კომპანია არ არის ჩართული ფინანსური აქტივებით ვაჭრობაში სპეკულაციური მიზნებისთვის და არ უშვებს ოფციონებს. ძირითადი ფინანსური რისკები, რომლებიც კომპანიასთან არის დაკავშირებული აღწერილია ქვემოთ.

ფინანსური რისკის ფაქტორები

ა) საბაზრო რისკი

კომპანიას აქვს საბაზრო რისკი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად და ძირითადად მისი რისკები დაკავშირებულია სავალუტო რისკთან, რომელიც გამომდინარეობს მისი საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობიდან.

უცხოური ვალუტის რისკი

კომპანია განახორციელებს უცხოურ ვალუტაში დენომინირებულ გარკვეულ ტრანზაქციებს. აქედან გამომდინარე, წარმოიშობა სავალუტო კურსის მერყეობასთან დაკავშირებული რისკი. კომპანიის ტრანზაქციების უმეტესობა განხორციელებულია ეროვნულ ვალუტა ლარში. საკურსო სხვაობების რისკი ძირითადად წარმოიშობა უცხოურ კომპანიებთან განხორციელებული გაყიდვებითა და შესყიდვებით, რომლებიც დენომინირებულია უცხოურ ვალუტაში.

სავალუტო კურსის ცვლილებასთან დაკავშირებული რისკის სიდიდე, წლის განმავლობაში დამოკიდებულია საზღვარგარეთ განხორციელებული ოპერაციების მოცულობაზე.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

კომპანიას გააჩნია საპროცენტო განაკვეთის რისკი, რადგან სესხები წარმოდგენილია როგორც მცურავი, ასევე ფიქსირებული განაკვეთით. კომპანიის მიერ იმართება ეს რისკი შესაბამისი ფიქსირებული და მცურავი საპროცენტო განაკვეთის სესხების თანაფარდობით. შემდეგი ცხრილი მოიცავს საშუალო კონტრაქტის და ეფექტური პროცენტის განაკვეთს:

შპს „ციფრული ტექნოლოგიები“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(თანხები მოცემულია ლარში)

ვალდებულებები	საშუალო საპროცენტო განაკვეთი	
	კონტრაქტით	ეფექტური
უზრუნველყოფილი საბანკო სესხები		
ლარი	11.50%	12.13%
ევრო	5.50%	5.64%
ევრო	5.50%	5.62%

ბ) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი ნიშნავს იმას, რომ კონტრაქტორი ვერ შეასრულებს კონტრაქტით გათვალისწინებულ ნაკისრ ვალდებულებებს, რის შედეგადაც კომპანია მიიღებს ფინანსურ ზარალს. კომპანია განიცდის საკრედიტო რისკს ფინანსური აქტივებისგან, რომლებიც მოიცავენ ფულს ხელზე და საბანკო ანგარიშებზე, ასევე სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს. საკრედიტო რისკის მართვა კომპანიის მიზნებისთვის ხდება თავის საკრედიტო რისკის მართვის პოლიტიკასა და პროცედურებზე დაყრდნობით. რისკების მართვის მიზნით კომპანია ნაღდ ფულს კარგი რეპუტაციის მქონე ფინანსურ ინსტიტუტებში განათავსებს. კომპანია მუდმივად აკვირდება კლიენტთა კრედიტუნარიანობას. სადაც შესაძლებელია, იგი მოიძიებს და იყენებს გარე საკრედიტო რეიტინგებს ან/და ანგარიშებს კლიენტთა შესახებ. კომპანიის პოლიტიკა ითვალისწინებს ურთიერთობას მხოლოდ კრედიტ უნარიან მხარეებთან. საკრედიტო პირობები მერყეობს 30-დან 90 დღემდე. მიმდინარე საკრედიტო რისკი იმართება ხანდაზმულობის ანალიზისა და კლიენტზე საკრედიტო ლიმიტის განსაზღვრის საფუძველზე. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები წარმოიშობა ბევრ მომხმარებელთან სხვადასხვა სფეროდან, ფართო გეოგრაფიულ არეალზე.

სავაჭრო მოთხოვნები

მთლიანი სავაჭრო მოთხოვნების სიცოცხლის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარებისთვის, კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მოდელს, ვინაიდან ეს მუხლები არ შეიცავენ მნიშვნელოვან ფინანსურ კომპონენტს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაზომვისთვის, სავაჭრო მოთხოვნები შეფასდა საერთო მიდგომით, ვინაიდან მათ აქვთ საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლები. მათი დაჯგუფება ხდება ხანდაზმულობის მიხედვით.

სავაჭრო მოთხოვნები ჩამოიწერება (ე.ი. წყდება მათი აღიარება), როცა აღარ არსებობს დაბრუნების გონივრული მოლოდინი. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გათვალისწინებით, კომპანია არ ხასიათდება რაიმე მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკით რომელიმე კონტრაგენტის ან საერთო მახასიათებლების მქონე კონტრაგენტების ჯგუფის მიმართ. მომხმარებლებთან არსებული წარსული გამოცდილების საფუძველზე დაყრდნობით ხელმძღვანელობა სავაჭრო მოთხოვნებთან დაკავშირებულ საკრედიტო ხარისხს დადებითად აფასებს. სავაჭრო მოთხოვნები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განსაზღვრულია შემდეგნაირად:

2021 წლის 31 დეკემბერი	ნეტო საბალანსო ღირებულება
მიმდინარე	54,081.00
30 დღეზე ვადაგადაცილებული	27,683.00
31-60 დღით ვადაგადაცილებული	14,540.00
61-90 დღით ვადაგადაცილებული	4,810.00
91-180 დღით ვადაგადაცილებული	27,904.00
181-365 დღით ვადაგადაცილებული	731.00
365-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული	-
	129,749.00

შპს „ციფრული ტექნოლოგიები“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 (თანხები მოცემულია ლარში)

2020 წლის 31 დეკემბერი	ნეტო საბალანსო ღირებულება
მიმდინარე	1,211,380
30 დღეზე ვადაგადაცილებული	48,837
31-60 დღით ვადაგადაცილებული	15,500
61-90 დღით ვადაგადაცილებული	20,640
91-180 დღით ვადაგადაცილებული	5,461
181-365 დღით ვადაგადაცილებული	3,449
365-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული	-
	1,305,267
2019 წლის 31 დეკემბერი	ნეტო საბალანსო ღირებულება
მიმდინარე	127,085
30 დღეზე ვადაგადაცილებული	-
31-60 დღით ვადაგადაცილებული	15,296
61-90 დღით ვადაგადაცილებული	15,510
91-180 დღით ვადაგადაცილებული	10,513
181-365 დღით ვადაგადაცილებული	4,276
365-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული	-
	172,680

გ) ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დროულად დაფაროს ვადა დამდგარი ვალდებულებები. კომპანია ახორციელებს ფრთხილ პოლიტიკას ლიკვიდურობის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულის და მისი ექვივალენტების ფლობას, აგრეთვე მაღალ ლიკვიდური აქტივების ფლობას, რათა მან დროულად გადაიხადოს ყველა საოპერაციო და სასესხო ვალდებულება.

შემდეგი ცხრილი დეტალურად ასახავს არადერივადი ფინანსური ვალდებულებების გადახდის პერიოდს.

ცხრილი შედგენილ იქნა ფინანსური ვალდებულებების არადისკონტირებული ფულადი ნაკადებით, დაფუძნებული უახლოეს თარიღზე, როდესაც შეიძლება კომპანიის მიმართ მოთხოვნილ იქნას აღნიშნული ვალდებულების გასტუმრება. ცხრილი შეიცავს ფულად ნაკადების, როგორც ძირს, ასევე პროცენტს.

2021	საპროცენტო განაკვეთის არმქონე	ცვლადი საპროცენტო განაკვეთის მქონე	ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე	ჯამი
საშუალო შეწონილი (%)			8.21%	8.21%
6 თვეზე ნაკლები	10,263.00	-	189,651.58	199,914.58
6 თვიდან 1 წლამდე	-	-	1,040,806.59	1,040,806.59
1-5 წლამდე	-	-	105,384.87	105,384.87
5 წელზე მეტი	-	-	-	-
სულ მომავალი გადახდები	10,263.00	-	1,335,843.05	1,346,106.05

კომპანია ითვალისწინებს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს ფინანსური აქტივებისგან ლიკვიდურობის რისკის, კერძოდ ფულადი და დებიტორული დავალიანებების, შესაფასებლად და სამართავად.

18. კაპიტალის რისკის მართვა

კომპანია ისე მართავს კაპიტალს, რომ შეძლოს უწყვეტად ფუნქციონირების გაგრძელება და დამფუძნებლებსაც ადეკვატური უკუგება აჩვენოს.

კომპანიის ხელმძღვანელობა მუდმივად აფასებს თავისი კაპიტალის მოთხოვნას, რათა შეინარჩუნოს დაფინანსების ეფექტური საერთო სტრუქტურა და ამავე დროს თავიდან აიცილოს მაღალი ლევერიჯი. ამ ანალიზისას გაითვალისწინება კომპანიის სხვადასხვა კლასის სესხების სუბორდინაციის დონეები.

კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას და ახდენს ამ სტრუქტურის ცვლილებებს იმ ეკონომიკური პირობებისა და რისკის მახასიათებლების ცვლილებების გათვალისწინებით, რომლებიც ახასიათებს კაპიტალის მაფორმირებელ აქტივებს.

კაპიტალის სტრუქტურის შენარჩუნების ან ცვლილების მიზნით კომპანიამ შეიძლება შეცვალოს გასანაწილებელი დივიდენდების ოდენობა, დაუბრუნოს მფლობელებს კაპიტალი ან გაყიდოს აქტივები სესხების დასაფარად.

თანხები, რომლებსაც კომპანია კაპიტალში აღრიცხავს საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის, არის შემდეგი:

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
მთლიანი კაპიტალი	4,528,424	2,794,671	2,752,923.00
<i>გამოკლებული: ფული ხელზე და საბანკო ანგარიშებზე</i>	<i>(639,248)</i>	<i>(94,855)</i>	<i>(62,996.00)</i>
კაპიტალი	3,889,176	2,699,816	2,689,927
მთლიანი კაპიტალი	4,528,424	2,794,671	2,752,923
სესხები	(1,259,198)	(2,351,412)	-
<i>სრული ფინანსირება</i>	<i>3,269,226</i>	<i>443,259</i>	<i>2,752,923</i>
კაპიტალის თანაფარდობა სრულ დაფინანსებასთან	1.19	6.09	0.98

19. გაუთვალისწინებელი გარემოებები

საქართველო განაგრძობს პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცვლილებებს. როგორც განვითარებადი ბაზარი, საქართველო არ ფლობს განვითარებულ ბიზნესს და მარეგულირებელ ინფრასტრუქტურას, რომელიც ძირითადად დამახასიათებელია უფრო თავისუფალი საბაზრო ეკონომიკისათვის. უფრო მეტიც, ეკონომიკური მდგომარეობა ზღუდავს საქმიანობის მოცულობას ფინანსურ ბაზრებზე, რომელიც შეიძლება არ იყოს ასახული ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულებებზე. შემდგომი ეკონომიკური განვითარების მთავარი დაბრკოლებაა ცენტრალიზებული ეკონომიკური სტრუქტურა, რეგიონალური არასტაბილურობა და ეკონომიკურ კრიზისთან ერთად ეკონომიკისა და ინსტიტუციონალური განვითარების დაბალი დონე.

2020 წლის 11 მარტს მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსის პანდემია გამოაცხადა. კოვიდ19-ის სწრაფმა გავრცელებამ არსებითი გავლენა იქონია მრავალი ქვეყნის ბიზნეს გარემოსა და ეკონომიკაზე, მათ შორის საქართველოზე.

პანდემიის გამო იმ ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობის გაუარესებამ, რომლებიც თანამშრომლობენ საქართველოსთან და რომლებზეც საქართველოს ეკონომიკა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, ასევე, პირდაპირი კაპიტალის ინვესტიციების შესაძლო მოზიდვასთან დაკავშირებულმა გაურკვევლობებმა, ინფლაციამ, ქართული ვალუტის მნიშვნელოვანმა დამოკიდებულებამ ამერიკულ დოლარზე და საქართველოს მთავრობის მიერ COVID 19-ის საპასუხოდ მიღებულმა გამკაცრებულმა ზომებმა, შესაძლოა გამოიწვიოს საქართველოს ეკონომიკისა და კომპანიის მდგომარეობის გაუარესებაც.

შპს „ციფრული ტექნოლოგიები“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(თანხები მოცემულია ლარში)

მიუხედავად იმისა, რომ ეს განუსაზღვრელობა მოიცავს მრავალ დაშვებებს და ვარაუდებს, ხელმძღვანელობას არ შეუძლია კომპანიის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაზე გავლენის შეფასება. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ მიმდინარე პირობებში სათანადო ზომები ხორციელდება კომპანიის ეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად.

20. გადასახადები

საქართველოს საგადასახადო სისტემა ხასიათდება სწრაფი ცვლილებებით, რომელიც ძირითადად დაკავშირებულია განმარტებების ცვლილებებთან. საგადასახადო კანონმდებლობა გადახედვას გადის საგადასახადო წარმომადგენლების მიერ, რომლებიც უფლებამოსილი არიან კანონით დაარციხონ ჯარიმები და საურავები. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ ადეკვატურად წარადგენს საგადასახადო ვალდებულებებს, ყველა მოთხოვნასა და განმარტებასთან შესაბამისად. თუმცა, შესაძლოა, რომ სახელმწიფო საგადასახადო ორგანოებმა ზოგიერთ საკითხზე განსხვავებული განმარტებები გააკეთონ, რა შემთხვევაშიც ეფექტი კომპანიაზე შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს.

21. ნაშთები და ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

შემოსავლისა და დანახარჯების მუხლები დაკავშირებულ მხარეებთან იყო შემდეგი:

	2021 წელი	2020 წელი
საქონლის რეალიზაცია	-	(1,389)
სერვისების მიღება	-	(362)
ძირითადი საშუალებების შეძენა	-	(14,500)

დაუფარავი ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან იყო შემდეგი:

	2021 წლის 31 დეკემბერი	2020 წლის 31 დეკემბერი	2019 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	-	-	58,086
სავაჭრო და სხვა	(8,121)	2,229	-
ვალდებულებები			
მიღებული სესხები	-	-	-
	(8,121)	2,229	58,086

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება

წლის განმავლობაში ძირითადი ხელმძღვანელობის მიერ მიღებული ანაზღაურების დეტალები, რომელიც ჩართულია თანამშრომელთა სარგებელში, მოცემულია ქვემოთ:

	2021 წელი	2020 წელი
ხელფასები და ბონუსები	137,673	113,766
	137,673	113,766

შპს „ციფრული ტექნოლოგიები“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(თანხები მოცემულია ლარში)

22. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშები მომზადდა განგრძობითი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს, დააკმაყოფილოს საკრედიტო მომსახურების დაფარვის პირობები. კომპანიას აქვს საკმაოდ დიდი რესურსები დაგროვილი გაუნაწილებელი მოგების სახით. ასევე მიმდინარე პერიოდში კომპანიას უფიქსირდება საოპერაციო მოგება, ასევე მიმდინარე აქტივები მეტი არის ვიდრე მიმდინარე ვალდებულებები. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კომპანია აკმაყოფილებს განგრძობითი საწარმოს პრინციპის მოთხოვნებს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ 12 თვის განმავლობაში.

23. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2022 წლის 3 ოქტომბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიაში არ მომხდარა ისეთი მოვლენა რომელიც გამოიწვევდა 2021 წლის ფინანსური უწყისის მონაცემების ცვლილებას.